ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
სოფელ გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატის, მაია ზოიძის

ანგარიში

2019 წლის ნოემბრიდან, 2020 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით

განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრის თვიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში ვარ საკრებულოს წევრი, როგორც საკრებულოს დეპუტატი, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ვხელმძღვანელობდი, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ვარ ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისთვის“ წევრი, საანგარიშო პერიოდში ვიყავი და ვარ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების „განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის“ და „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, ასევე საკრებულოსთან არსებული, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი საკრებულოს კომისიების, ფრაქციების და გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომებზე გამოტანილი, მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პრიორიტეტებს, ეკონომიკურ განვითარებას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მოქალაქეთა სოციალურ დაცვას, სკოლამდელი აღზრდისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებს, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობას, ასევე ბიუჯეტის ცვლილებას.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი _ 14 _ საკრებულოს, _ 12 _ კომისიის და _ 26 _ ფრაქციის სხდომებს, რომლებიც შესაბამისი ოქმების სახით არის რატიფიცირებული.

საკრებულოს დებულების შესაბამისად. ვმართავდი რეგლამენტით გათვალისწინებულ გეგმიურ და ხშირ შემთხვევაში დაუგეგმავ შეხვედრებს ჩემი სოფლის მოსახლეობასთან.

უნდა აღვნიშნო რომ შეხვედრების დროს, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გამოიკვეთა, რაც მსოფლიოში შექმნილმა კოვიდ-პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზარდა.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, პრიორიტეტი სწორედ მოსახლეობის პრობლემების გამოვლენა, შესწავლა და ამ პრობლემების მოგვარების გზების გამონახვაა.

ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად დავეხმარო თითოეული მოქალაქეს, ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდში, ჩემს მიერ განხორციელებული სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ურთიერთთანამშრომლობის შედეგია.

საანგარიშო პერიოდში, სოციალური პროგრამიდან, მატერიალური დახმარების მიზნით, გურიანთის თემში შემოსულია _ 135 _ განცხადება, რაზეც დაუყონებლივ მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობები და ყველა მათგანი, კანონით დადგენილ ვადაში იქნა დაკმაყოფილებული.

სულ სოციალური პროგრამისთვის დაიხარჯა _ 18 877 _ ლარი.

უსინათლოთა, ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან _ 6 _ მოქალაქეს გაეწია დახმარება, იძულებით გადაადგილებული პირების დახმარების პროგრამიდან _ 3 _ მოქალაქეს, დიალეზის პროგრამით კი _ 1 _ მოქალაქე სარგებლობს.

სამშენებლო მასალები გადაეცა სოციალურად დაუცველ _ 3 _ ოჯახს, _ 5 _ ოჯახს კი უმაღლესი ხარისხის თუნუქის სახურავით დავეხმარეთ.

საანგარიშო პერიოდში, ჯამში _ 12 221 867 _ ლარის ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა.

ჩატარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებიც მოსახლეობიდან მიღებული კორესპოდენციების საფუძველზე შეირჩა:

- აშენდა ახალი, თანამედროვე ტიპის სასოფლო ამბულატორია
- ციხისფერდში, მურუსიძეების ოჯახში, მოეწყო სასმელი წყლის ჭა
- ციხისფერდში დაიწყო და მალე დასრულდება _ 3 _ ერთეული სასმელი წლის ჭაბურღილი, რომლის დაქსელვის შემდეგ, ჯამში _ 80 _ ოჯახი ისარგებლებს.
- აჭარის უბანში გზის რთულ მონაკვეთზე _ 325 _ მეტრი ბეტონის საფარიანი გზა დაიგო
- გურიანთა-ციხისფერდის ტერიტორიაზე დაემატა _ 4 _ ერთეული ნარჩენების შემკრები კონტეინერი
- ჩატარდა გურიანთის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, მოასფალტდა _ 1813 _ მეტრი სიგრძის გზა.
- რეაბილიტირდა და ფუნქციონირება დაიწყო - სასოფლო ბიბლიოთეკამ
- ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში, გურიანთა ერთ-ერთი სოფელია, სადაც მოსახლეობას, მაღალი ხარისხის სწრაფი ინტერნეტი მიეწოდება. ეს პროექტი იძლევა ისეთ მნიშვნელოვან მომსახურებებთან წვდომის შესაძლებლობას, როგორიცაა, ელექტრონული განათლება, ელ. მმართველობა, ელ. კომერცია და სხვა თანამედროვე სევისები.
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, სოფელ გურიანთაში, სოფლის ცენტრში მოეწყო სკვერი, რომლის ღირებულება 40 000 ლარია.

- ამავე პროექტის ფარგლებში ციხისფერდის უბანში მოეწყო _ 154 _ მეტრი სიგრძის ბეტონის გზა და დამატებით დამომტაჟდა _ 12 _ ერთეული გარე-განათების ბოძები, შესრულებული სამუშაოების ღირებულება კი 32 000 ლარია.
- გურიანთის საჯარო სკოლაში მოეწყო წყლის ჭაბურღილი და ცენტრალური გათბობა.
- გურიანთაში, ჩიტაძეების უბანში ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით აშენდა სამლოცველო.

კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის პერიოდში შექმნილი მძიმე პირობების შესამსუბუქებლად, უშუალოდ ჩემი ინიციატივით _ 65 _ ოჯახს დავეხმარე სასურსათო კალათით, მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით, დამატებით _ 50 _ ოჯახს.

მონაწილეობა მივიღე _ 4 _ თვიან ტრენინგში, „ქალები მართავენ პოლიტიკას", რომელიც ჩატარდა საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაცია, გაეროს გენერალური თანასწორობის ერთობლივი პროგრამის მხარდამჭერთა და ლიდერთა სკოლის ჩართულობით.

2021 წლის დამტკიცებული ბიუკეტით, მიმდინარე წელს დაგეგმილია ციხისფერდის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, სიგრძით _ 5261 _ მეტრი.

ასევე, დაგეგმილია და უმოკლეს ვადაში სოფელში აშენდება ახალი მემორიალური მუზეუმი, გამომდინარე იქიდან, რომ არსებული მუზეუმის შენობა ამორტიზებულია და არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მემორიალური მუზეუმი ჩვენს მუნიციპალიტეტში ეს ერთადერთი.

მიმაჩნია, რომ ჩემს მიერ გაწეულის საქმიანობა, არ არის საკმარისი და ვიმედოვნებ დარჩენილი უფლებამოსილების ვადაში, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით კიდევ უფრო მეტს გავაკეთებ. იმედს ვიტოვებ, მომავალი საანგარიშო პერიოდი უფრო ვრცელი და საინტერესო იქნება განხორციელებული საქმიანობის თვალსაზრისით.

ბოლოს კი მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს აპარატს, კოლეგებს, მუნიციპალიტეტის მერიას და ჩემს თანასოფლელებს, ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებაში აქტიური დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატი მაია ზოიძე

12.02.2021